ანარქიზმი და ნაციონალიზმი - ვარლამ ჩერქეზიშვილის მაგალითი

ალექსი ქურასბედიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

თანამედროვე საქართველოს ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჰუბერტუს იანი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა

და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ ნინო

მატარაძეს ამავე ფაკულტეტის თანამედროვე

საქართველოს ისტორიის მაგისტრანტის

ალექსი ქურასბედიანის

განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ალექსი ქურასბედიანი

2026 წ.

სარჩევი

სარჩევი iii

აბსტრაქტი v

Abstract vi

საკვლევი საკითხი 1

თეორიული ჩარჩო 5

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 9

კვლევის მეთოდოლოგია 12

თავი I - გზა ემიგრაციისკენ 14

ადრეული წლები, რევოლუციური საქმიანობა რუსეთში და გადასახლება 14

პირველი გამოჩენა ევროპაში - ლონდონი 19

ჟენევა, პარიზი (1877-83) 23

თავი II - ორი სამყაროს დასაწყისი (1883–1900) 29

მოგზაურობა აღმოსავლეთში 29

ლონდონი 1892-94 35

“ივერია” - კორესპონდენციები ევროპიდან (1893-94) 39

1896 წლის ლონდონის კონგრესი 44

თავი III - ანარქისტი (1900-1912) 47

ინტელექტუალური თანამშრომლობა კროპოტკინთან და ანარქისტული წრე 47

ანარქიზმ-კომუნიზმი და მარქსიზმის კრიტიკა 50

დაპირისპირება საქართველოში, სტალინი 53

თავი IV - პატრიოტი (1897-1914) 58

მეოთხე ვიზიტი საქართველოში 58

La Georgie 60

სოციალ-ფედერალისტური პარტიის დაარსება 63

1905 წლის რევოლუცია და ვიზიტი საქართველოში 66

ბრიტანული ქსელის მოქმედება, ქართველი ხალხის პეტიცია ჰააგაში.....71
თავი V - ომი, ოკუპაცია და დასასრული (1914-1925).....78
პირველი მსოფლიო ომი და “თექვსმეტის მანიფესტი” (1914-1916).....78
1917: იმპერიის რღვევა და ეროვნული ჰორიზონტი.....83
დამოუკიდებელი საქართველო და მენშევიკური რესპუბლიკის დაცვა (1918–1921).....85
ოკუპაცია და ემიგრაცია.....91
დასკვნა.....93
ბიბლიოგრაფია.....99

აბსტრაქტი

ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846–1925) ევროპული ანარქიზმის ერთ-ერთი წამყვანი თეორეტიკოსი იყო - პეტრე კროპოტკინის უახლოესი თანამოაზრე და ლონდონური Freedom-ის ჯგუფის წევრი და, ამავდროულად, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამორჩეული მოღვაწე: 1907 წელს მან ჰააგის სამშვიდობო კონფერენციას ქართველი ხალხის პეტიცია წარუდგინა, ხოლო სიცოცხლის მიწურულს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ბოლშევიკური ოკუპაციისგან დაიცვა. კლასიკური წაკითხვით, ანარქისტული ინტერნაციონალიზმი და ქართული პატრიოტიზმი ერთმანეთს გამორიცხავს. სწორედ ეს მოჩვენებითი წინააღმდეგობა დგას ნაშრომის ცენტრში.

ნაშრომის ცენტრალური არგუმენტია, რომ ჩერქეზიშვილის ანარქიზმი და ქართული პატრიოტიზმი ერთი საერთო პრინციპის - თავისუფლების როგორც ბატონობის უარყოფის (non-domination) - ორი გამოვლინება იყო. ამ ცნებაზე დაყრდნობით, რომელიც ანარქიზმმა რესპუბლიკური ტრადიციიდან მიიღო, ნაშრომი იკვლევს ქართული და ევროპული იდეების ორმხრივ „თარგმნას" ჩერქეზიშვილის პუბლიცისტიკაში, საერთაშორისო ანარქისტული ქსელის როლს ქართული საკითხის ევროპაში წარდგენაში და მისი ვალდებულებების იერარქიას გადამწყვეტ მომენტებში - პირველი მსოფლიო ომისა და 1921 წლის ოკუპაციის დროს, როცა მისი არჩევანი ანარქისტული სამოქალაქო სათნოების გამოვლინებად იკითხება.

კვლევა ეყრდნობა ხუთ ენაზე არსებულ პირველად წყაროებს: მაქს ნეტლაუს საარქივო ფონდს (IISH, ამსტერდამი), ჩერქეზიშვილის ქართულ პუბლიცისტიკას, მის თეორიულ ნაშრომებსა და თანადროულ ევროპულ პრესას, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოდის. ნაშრომი ქართულ ისტორიოგრაფიას სთავაზობს ანალიტიკურ ჩარჩოს, ხოლო ანარქიზმისა და ეროვნული საკითხის საერთაშორისო კვლევით ველს - იმ შემთხვევას, რომელიც მას აქამდე აკლდა.

Abstract

Varlam Cherkezishvili (Tcherkesoff, 1846–1925) was one of the leading theorists of European anarchism - Peter Kropotkin's closest collaborator and a core member of the London *Freedom* group and, at the same time, a prominent figure of the Georgian national liberation movement: in 1907 he presented the petition of the Georgian people to the Hague Peace Conference, and at the end of his life he defended the Democratic Republic of Georgia against the Bolshevik occupation. On the classical reading, anarchist internationalism and Georgian nationalism exclude one another, this apparent contradiction stands at the centre of the present thesis.

The central argument is that Cherkezishvili's anarchism and his Georgian patriotism were two expressions of a single principle: freedom as non-domination. Drawing on this concept, which anarchism inherited from the republican tradition, the thesis examines the two-way "translation" of Georgian and European ideas in his journalism, the role of the international anarchist network in presenting the Georgian question to Europe and the hierarchy of his commitments at decisive moments - the First World War and the occupation of 1921, when his choices are read as an enactment of anarchist civic virtue.

The research rests on primary sources in five languages - the Max Nettlau Papers (IISH, Amsterdam), Cherkezishvili's Georgian journalism, his theoretical works, and the contemporary European press - much of which enters Georgian scholarship for the first time. The thesis offers Georgian historiography an analytical framework, and the international field of anarchism and the national question the case study it has so far lacked.